- შექსპ-ირის ქართ-ულად მთარგ-მნელი (8)
- მხეცი (6)
- ფაქტ-ების დამახი-ნჯება (9)
- მოსეს ძმა (6)
- (........) ფალკ-ონე (5)
- ბულგა-რული ვალუტა (4)
- ორი წერტ-ილი ս-ზე (7)
- სარაჯი-შვილი (4)
- რუსული თქმუ-ლება (6)
- ცხოველ. ქცევებს სწავლ-ობს (8)
- სააკა-ძის სოფელი (5)
- 35-ე ქიმი-ური ელემ-ენტი (5)
- ილია-სეული ხარი (4)
- ჩვენი მდინა-რეების თევზი (5)
- ესტო-ნელი ბარი-ტონი, მისტერ იქსი (4)
- ცხენს ეუბნ-ებიან (3)
- პირენ-ეების მწვერ-ვალი (5)
- აყალმ-აყალის ამტეხი (8)
- ვალში დატო-ვებული ნივთი (5)
- მტაც-ებელი ფრინ-ველი (4)
- ნიუ-იორკის ზანგთა უბანი (7)
- ჩვენი მოკლე-მეტრა-ჟიანი ფილმი (5)
- ნავთ-ობის ქალაქი (4)
- ასპა-რეზობა (7)
- საზ-ღვაო ოფი-ცერს აქვს (5)
- ისტ. სოფელი მოსკო-ვთან (4)
- დესპო-ტური მართვა (7)

**ჰორიზონტალურად:**

- დაუკოდავი ხარი (4)
- მწეველი აქლემი (6)
- ბელიაშვილ-ის რომანი „ოქროს...“ (7)
- იხილე ფოტოები
- საწყალი (6)
- თუმანიანის მოთხრობა (6)
- ქალაქი რუსეთში, როსტოვის ოლქში (9)
- მძიმე სენი (4)
- ფრანგი მწერალი. რომენ... (6)
- ქალაქი სამხრეთ კორეაში (4)
- უსინა-თლო (4)
- მსგავსი შემ-ადგენლობის ნივთ.-ება (8)
- მოწონების გამოხატვა (6)
- ყველაზე ცნობილი ხიდი ვენეციაში (6)
- მაკაოს ადგილობრივი სახელწოდება (6)
- მთიელთა სოფელი დაღესტანში (4)
- (.......) ბრამანტე (6)
- (........) ფონ ბისმარკი (3)
- „მადლობა“ - იაპონურად (7)
- ჩვენი მსახიობის სახელიც და გადაშენებული ფრინველიც (4)
- სახიჩარი, საპყარი (8)
- აზიის ქვეყანა (5)
- გერმანული წარმოების მსუბუქი ავტომობილი (7)
- ევროპის ჯუჯა ქვეყანათაგანი (6)
- გამადი-დებელი შუშა (4)
- სათევზაო ბარჟა (7)
- 80-იანი წწ იტალიელი ფეხბურთელი, მაურო... (6)
- ჭრილობაზე დასადები რამ (4)
- ავტორი „სამი მე-გობრისა“ (7)
- ქოფრეის დე პეირაკის როლის შემსრულებელი ფილმში, რობერ... (6)



# ქვიზი კროს-ვორდი

| | არაგველების რიცხვი / ერკულ პუაროს თანაშემწე კაპიტანი | იგივე ბუასილი | შვეიცარიის ქალაქი / რუსი პოეტი | ჩეჩნების და ინგუშების საერთო სახელი ფშაველისა ხევსურისათვის | საბჭოური ფოტოაპარატი / ბიბლიური წინასწარმეტყველი / გერმანელი მადმუაზელი | აშშ-ს კუნძულოვანი შტატი | ზურიკელას გვარი / ელექტრონების წყარო ელექტროდი წრედში | სასწავლო დაწესებულება | კუზიანი კურდღელი | ხუთი კარატი / ესპანელი კინორეჟისორი | ძველი ბიზანტიელი მეომარი გლეხი | ლელას პაპის სახელი ფილმში „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ / მეცნიერული კამათი | ღრუ მცენარეთა და ცხოველთა უჯრედში | ბრემ სტოკერის რომანი / შუა სს რელიგიური ხასიათის წარმოდგენა | ელექტრომაგნიტური ინდუქციის აღმომჩენი მეცნიერი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წყალში გახსნილი ქატო და ფქვილი | | | | | | | | | ● | | ● | | ● | | ● |
| სალოცავი გალობა ან ლექსები რომელიმე წმინდანის პატივსაცემად | | ● | | ● | | ● | | ● | | | | | | | |
| სომალის დედაქალაქი | | | | | | | | | ● | | ● | | ● | | ● |
| „ახალი ქვეყნის“ სეხნია ფრანც კაფკას რომანი | | ● | | ● | | ● | | ● | | | | | | | |
| პარიზის მდინარე / გიჟი და გადარეული | | | | | ● | | | | | | ● | | ● | | ● |
| სასწავლო დაწესებულებაც და იტალიელი კინორეჟისორიც | | ● | | ● | | ● | | ● | | ● | | | | | |
| წარმოსახვითი წრფე, რომლისკენაც მიისწრაფის ფუნქციის გრაფიკი | ● | | ● | | | | | | | | | | ● | | ● |
| რა ერქვათ ესაკიასაც და დელიბსაც? | | | | ● | | ● | | ● | | ● | | ● | | ● | |
| კორიანდრი, ანუ? / საავადმყოფოს ოთახი | ● | | ● | | | | | | ● | | | | | | |
| (..........) კოვალევსკაია / აფრიკაანსიც და სანსკრიტიც | | | | | | ● | | | | ● | | ● | | ● | |
| ეტლიც, ლაზიერიც და... ოთხკუთხედიც! | ● | | ● | | ● | | ● | | ● | | | | | | |
| ქალის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა. | | | | | | | | | | ● | | | | ● | |
| მხატვრის ან ფოტოგრაფის სამუშაო ოთახი | ● | | ● | | ● | | ● | | ● | | | | | | |
| თოვლის ფიფქი, ანუ რა? | | ● | | ● | | | | | | | | ● | | ● | |
| ტაბიკების გადასაბმელი თოკი | | | | | | | ● | | ● | | ● | | ● | | ● |
| ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი მედიც. დარგი | | ● | | ● | | ● | | | | | | | | | |
| ქიმიური ელემენტი ლანთანოიდების ჯგუფიდან | | | | | | | | | ● | | ● | | ● | | ● |
| ....შავლაყაძე, ქართველ სიმაღლეზე მხტომელს? | | ● | | ● | | ● | | ● | | | | | | | |
| ფრინველთა ორგანო, რომელსაც ქმნის მოგრძო უკბილო ყბები. | | | | | | | | | ● | | ● | | ● | | ● |
| კუნძულ სარდინიის მთავარი ქალაქი | | ● | | ● | | | | ● | | | | | | | |
| სამახსოვრო ნივთი | | | | | | | | | ● | | ● | | ● | | ● |
| აზიის მთათა სისტემა | | ● | | ● | | | | ● | | | | | | | |

|  | საბჭოური ეპოქის მოღვაწე, ლაზარ (......) | ↓ | ქალაქი იტალიაში | ტარასკონელი<br>პალესტინის ლიდერი | უკანასკნელი შვილი<br>იტალიის ფეხბ. გუნდი | ჩიტის და აზრის უნარი<br>დიპლომატი | ბარაქიანი ანუ? | ბარბაროსების კოლეგები<br>„ტიტანიკის“ მსახიობი ქალი | ფუჭი, უშედეგო<br>ძვირფასი ქსოვილი | ქიმ. ელემენტი<br>ევროპელი მომლოცველი | კრასნოდარის მხარის ქალაქი<br>კოკას მეორე ნახევარი | ტოპმოდელი ლინდა (.....) | XI ს საქ. დედოფალი<br>გამოუსადეგარი<br>მონღოლთა ბატონობა | რიგის ქალთა კალათბურთის გუნდი<br>გზაზე დაყრილი ქვები | იტალ. მეზღაპრე<br>უშფოთველი ყოფა<br>ინდონეზიის კუნძული |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| (........) რიუნოსკე | | კ | | | | | | | | | | | | | |
| ძვ.ბრაზილიელი ფეხბურთელი, პელეს კოლეგა | | ვ | | | | | | | | | | | | | |
| ძალიან თხელი | | ი | | | | | | | | | | | | | |
| XV ს იტალიელი მოქანდაკე | | რ | | | | | | | | | | | | | |
| იალქნიანი ხომალდი | | ა | | | | | | | | | | | | | |
| ჯონათან სვიფტის ჯუჯა | | ც | | | | | | | | | | | | | |
| რაიცენტრი კახეთში | | ხ | | | | | | | | | | | | | |
| ვირის პატრონი ფილოსოფოსი | | ო | | | | | | | | | | | | | |
| ვარდისებრთა ოჯახის ბუჩქი | | ვ | | | | | | | | | | | | | |
| იხილე ფოტო | | ლ | | | | | | | | | | | | | |
| ოსტაპ ბენდერის კომპანიონის გვარი | | ო | | | | | | | | | | | | | |
| ზედმეტი ტვირთი | | ბ | | | | | | | | | | | | | |
| ცხენოსანი ჯარი<br>(......) ეკბერგი | | ა | | | | | | | | | | | | | |
| ავტორბოლა | | | | | | | | | | | | | | | |
| ხალხის ნებით შეცვლილი ანუ? (ვინმე ჩინოსანი) | | | | | | | | | | | | | | | |
| ინფორმაციული ერთეული<br>ამერიმერის გამყოფი | | | | | | | | | | | | | | | |
| პეტრე პირველის მდინარე<br>სადგური ზუგდიდთან | | | | | | | | | | | | | | | |
| ძველი სამგზავრო საშუალება | | | | | | | | | | | | | | | |
| პატარა ქათამი<br>შტრიხების გამუქება | | | | | | | | | | | | | | | |
| ასეთია ოპერის დარეჯანი<br>ასეთია ოპერის სიმღერა | | | | | | | | | | | | | | | |
| სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი | | | | | | | | | | | | | | | |
| ქარ ასეთიც არის<br>აგულიმ გააბრაზა | | | | | | | | | | | | | | | |

## უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონის პირველი ტომის შესწორებანი

(შეგიძლიათ ამოჭრათ და წიგნში ჩადოთ, როგორც ეს მიღებულია საგამომცემლო საქმიანობაში)

განვლილი შვიდი თვის განმავლობაში, რაც პირველი ტომი „მოქმედებს", ჩვენს მიერ გარკვეული უზუსტობებია დაფიქსირებული, რომელთაგან ყველაფერი ჩვენი ბრალი არ არის (...და საერთოდ უნდა ითქვას, რომ „შეცდომა, ნაკლი, უზუსტობა" ენციკლოპედიური ხასიათის გამოცემის *გარდუვალი ატრიბუტი* ყოფილა, რაშიც ჩვენმა წიგნმაც დაგვარწმუნა და იმ ავტორიტეტულმა წყაროებმაც, რასაც ძირითადად ვეყრდნობით).

მაშ ასე, პირველი ტომის უზუსტობანი:

1) დანართში, სადაც ნობელი პრემიის ლაურეატები არიან წარმოდგენილნი, ქიმიის განყოფილებაში წერია, რომ 1987 წელს ამ სფეროში პრემია არავისთვის მიუნიჭებიათ (ასე წერია უკანასკნელი ხუთწლეულის ყველა რუსულ წყაროში). სინამდვილეში კი 1987 წელს ნობელის პრემია ქიმიის დარგში ასე განაწილდა: **კრამი** (**Cram**) დონალდ ჯეიმზ - (1919-2001), აშშ; **ლენი (Lehn)** ჟან-მარი - საფრანგეთი (1939-); **პედერსენი (Pedersen, Charles J.)** ჩარლზ - (1904-89), აშშ.

2) 1901 წელი - ქიმია:

წერია ვან-გოფი, უნდა იყოს ვანტ-გოფი (**van't Hoff**).

3) ყველგან, სადაც წერია „კრასნოვოდსკი" (თურქმენეთის ქალაქი), უნდა იყოს „თურქმენბაში" (სწორედ ასე ჰქვია ამ ქალაქს 1992 წლიდან).

4) უნდა იყოს ვინდაუსი „ადოლფ" და არა ალფრედ.

5) უნდა იყოს „დევანაგირი" და არა დევანაგარი.

6) უნდა იყოს „ექსტრადიცია" და არა ექსტრადაცია.

7) უნდა იყოს „ევთანაზია" და არა ევტანზია.

8) უნდა იყოს „ხთონიური" და არა ქტონიკური.

9) დიუმურიე შ - დაიბადა 1739 წელს და არა 1793-ში.

10) აბადი შირინი - ირანელი ნობელიანტი მშვიდობის დარგში გახლავთ ქალი (თუმცა ამის მითითება არცთუ ისე მნიშვნელოვანია, რადგან ცნობილია, რომ შირინი ქალის სახელია ირანში; გაიხსენეთ ნიზამის პოემა „ხოსროვი და შირინი").

11) გერმანიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ჩვენ „მიწად" (**Land, Земля** ) მოვიხსენით, ქართული ორთოგრაფიული წყაროები კი „მხარეს" ამჯობინებენ.

ასეთი და სხვა, შედარებით უწყინარი უზუსტობანი კიდევ გვხვდება პირველ ტომში, რასაც დროდადრო დავაფიქსირებთ „ფანტაზიაში".

## უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონის მეორე ტომის ბედ-იღბალი

ჩვენი პაუზა გაზეთების გამოცემაში, რაც ყველა ნორმალურმა ადამიანმა „შვებულბად" მონათლა, ჩვენ მეორე ტომისათვის განკუთვნილი „შავი სამუშაოს" შესრულებას მოვანდომეთ. ამავე პერიოდში გაკეთდა მეორე ტომის დანართიც (მთლიანად), სადაც წარმოდგენილნი არიან „ოსკარის" პრემიის ლაურეატები 1928 წლიდან დღემდე. მასალა „ოსკაროსანთა" შესახებ ჩვენ ადრეც გამოვაქვეყნეთ, თუმცა ენციკლოპედიური ლექსიკონის მეორე ტომის დანართი შესამჩნევად გავზარდეთ და სხვა ნომინანტებიც აღვნუსხეთ (მეორე პლანის მსახიობები, საუკეთესო არამერიკული ფილმი და სხვა).

მეორე ტომი მოცულობით პირველ ტომზე დიდი იქნება (20-30 გვერდით). მასში, როგორც შეგპირდით, თავმოყრილია მასალა ვ-დან ნ-ს ჩათვლით, თუმცა, შესაძლოა, ო-ც დაემატოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მესამე ტომი, რომლის კონტურები უკვე ისახება, ძალიან გაიზრდება.

მეორე ტომის გამოცემას ნოემბრისათვის ვგეგმავთ, ამავე პერიოდისათვის მოვამზადებთ პირველი ტომის მცირე ტირაჟსაც და მსურველებს შეეძლებათ ორივე ტომის შეძენა. ვისაც ამგვარი სურვილი გაუჩნდება, ნოემბრამდე დაგვიკავშირდეს და შევეცდებით გავითვალისწინოთ მათი სურვილი. აქვე ვთხოვთ პირველი ტომის მფლობელებს, რომ ნუ დაიზარებენ, ერთხელაც შეგვახსენონ თავი, გამოთქვან თავისი მოსაზრებები წიგნის შესახებ და ამით მეორე ტომის შეძენის სურვილიც დაადასტურონ.

P.S. მიმდინარეობს მუშაობა ორივე ტომის მასალის ელექტრონული (კომპიუტერული) ვერსიის შესაქმნელადაც.

## უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, მე-2 ტომი

**ველიჟი** - ქალაქი რუსეთის სმოლენსკის ოლქში.
**ველისა** - სოფელი ახალგორის რაიონში.
**ველისარიუსი** (ველიზარი) - ბიზანტიელ მხედართმთავარი (დაახლოებით 504 - 565 წწ).
**ველისპირი** - სოფელი დმანისის რაიონში.
**ველისციხე** - სოფლები გურჯაანისა და ქარელის რაიონებში.
**ველისწყალი** - მდინარე ახალგორის რაიონში, ჭურთის მარცხენა შენაკადი.
**ველიუ** - იხილე *ველი.*
**ველიჩკა** - ქალაქი პოლონეთის სამხრეთ ნაწილში, ბალნეოლოგიური კურორტი (20 ათასი).
**ველიხოვი** ევგენი - რუსი ფიზიკოსი-თეორიტიკოსი, აკადემიკოსი (დაიბადა 1935 წელს).
**ველკოვი** კრუმ - ბულგარელი მწერალი (1902-1960 წწ).
**ველკომი** (უელკომი) - ქალაქი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (135 ათასი).
**ველ-მინდორი** - დაბლობი ადგილები ერთად.
**ველმო** - მდინარე რუსეთის კრასნოიარსკის მხარეში, პოდკამენაია-ტუნგუსკის მარცხენა შენაკადი (504 კმ).
**ველნიასი** (ველინასი, ველნსი) - ბალტიურ მითოლოგიაში მიწისქვეშეთის ღვთაება, პერკუნასის მოწინააღმდეგე.
**ველო** - პირველი შემადგენელი ნაწილი რთული სიტყვებისა,ნიშნავს ველოსიპედისას,საველოსიპედოს.
**ველობი** - პატარა მინდორი ტყეში.
**ველობოლი** - ბურთის თამაში ველოსიპედებით,სადაც ველოსიპედზე მჯდარი მოთამაშეები დიდი ზომის ბურთს ფეხით აწვდიან ერთმანეთს.
**ველოდრომი** - სპორტული ნაგებობა ველოსიპედისტთა შეჯიბრისა და წვრთნისათვის. რომელიც მოიცავს ველოტრეკს და დამხმარე ნაგებობებს.
**ველორიქშა** - რიქშა,რომელიც ველოსიპედით მოძრაობს.
**ველოსიპედი** (ლათ. velox - „ჩქარი" და ped - „ფეხი") - ორ ან (იშვიათად) სამთვლიანი მანქანა, რომელიც მოძრაობაში მოყავს ბორბლებთან ჯაჭვით დაკავშირებულ ორ პედალს.
**ველოტრეკი** - იგივეა, რაც *ტრეკი.*
**ველსენი** - ქალაქი ნიდერლანდში, ჩრდილოეთ ჰოლანდიის პროვინციაში.
**ველსი** - ქალაქი ავსტრიაში (ზემო ავსტრიის მხარე).
**ველსკი** - ქალაქი რუსეთის არხანგელსკის ოლქში.
**ველტი** - ყოველდღიური გერმანული გაზეთი, გამოდის ბონში 1946 წლიდან.
**ველტმანი** 1) ალექსანდრე - რუსი მწერალი (1800 - 1870 წწ). 2) მარტინუს - ჰოლანდიელი ფიზიკოსი, 1999 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი გ.ტ'ჰოფტთან ერთად (დაიბადა 1931 წელს).
**ველტყევი** (კვეშლევი) - მთა ამბროლაურის რაიონში, რაჭის ქედზე.
**ველუნდი** - სკანდინავიურ მითოლოგიაში ღმერთებთან დაახლოებული მჭედელი, რომლის ამბავი გადმოცემულია „უფროს ედაშიც".
**ველურა** - სოფელი ახალგორის რაიონში.
**ველურები** - მიმდინარეობა ფრანგულ ფერწერაში XX საუკუნის დასაწყისში, იხილე *ფოვიზმი.*
**ველური**[1] (სპარს.) - 1) გარეული ცხოველი (მცენარე). 2) კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომი, პირველყოფილი (ადამიანი). 3) ბარბაროსული, არაადამიანური.
**ველური**[2] (ფრანგ.) - 1) საგანგებოდ დამუშავებული ხშირხაოიანი მაუდი ან ფეტრი. 2) ზამშისმაგვარი ტყავი; იყენებენ ფეხსაცმლის საპირედ.
**ველური**[3] (ველურუ) - ქალაქი სამხრეთ ინდოეთში, ტამილნადის შტატში (175 ათასი).
**ველურობა** - 1) ველურად ყოფნა, ველურის თვისება. 2) ბარბაროსობა, მხეცობა.
**ველურუ** - იხილე *ველური.*
**ველფები** - გერმანელ მთავართა გვარი; ცნობილია IX საუკუნიდან.
**ველფლინი** ჰაინრიხ - შვეიცარიელი ხელოვნებათმცოდნე (1864 - 1945 წწ).
**ველხვანი** იუჰან სებასტიან - ნორვეგიელი პოეტი (1807 - 1873 წწ).
**ველჰავენი** იუჰან სებასტიან - ნორვეგიელი პოეტი და კრიტიკოსი (1807 - 1873 წწ).
**ველჰაუზენი** იულიუს - გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე, ისლამის მკვლევარი (1844 - 1918 წწ).
**ვენა**[1] - ევროპის სახელმწიფო ავსტრიის დედაქალაქი. ცნობილია ახ.წ.აღ. 90 წლიდან როგორც რომაელთა სამხედრო ბანაკი. პირველად ახლანდელი სახელით მოიხსენიება 881 წლიდან. 1278 წლიდან ჰაბსბურგთა სახელმწიფოს დედაქალაქი გახდა. 1438-1806 წლებში „საღვთო რომის იმპერიის" ცენტრია. 1867 წლიდან ავსტრო-უნგრეთის, 1918 წლიდან კი ავსტრიის დედაქალაქია (1,7 მილიონი)
**ვენა**[2] - ინდუისტურ მითოლოგიაში ცოდვილი მეფე, რომელმაც მსხვერპლთშეწირვის აღთქმა დაარღვია.
**ვენა**[3] (ლათ.) - სისხლძარღვი, რომლითაც სისხლი ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილიდან მიედინება გულისაკენ.
**ვენაცვალე** - საალერსო სიტყვა.
**ვენაძე** (ნამდვილი გვარი ინაშვილი) გრიგოლ - მომღერალი, ბარიტონი, საქართველოს სახალხო არტისტი (1896 - 1968 წწ).
**ვენახებისხევი** - მდინარე მცხეთის რაიონში, ვერის მარცხენა შენაკადი.
**ვენახი** - 1) მიწის ნაკვეთი, სადაც გაშენებულია ვაზი, ვაზის ბაღი. 2) (კუთხ.) იგივეა, რაც ვაზი.
**ვენახისჭალა** - მდინარე ბაღდადის რაიონში, ქერშავეთის მარცხენა შენაკადი.
**ვენგერკა** - სამეჯლისო ცეკვა, რომელიც შეიქმნა უნგრული ხალხური ცეკვის, ჩარდაშის საფუძველზე.
**ვენდა** - სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და ზიმბაბვეში მოსახლე ბანტუს ჯგუფის ხალხი (320 ათასი).
**ვენდევდატი** (სპარს.) - დევთა საწინააღმდეგო კანონი.
**ვენდენი** - ლატვიის ქალაქ ცესის ოფიციალური სახელი 1917 წლამდე.
**ვენდერსი** ვიმ - გერმანელი რეჟისორი, სცენარისტი, პროდიუსერი. ე.წ. „ახალგაზრდა გერმანული კინოს" ერთ-ერთი ლიდერი (დაიბადა 1945 წელს).
**ვენდეტა** (იტალ.) - სისხლის აღების წესი კორსიკასა და სარდინიაზე.
**ვენდიტა** (იტალ.) - იტალიაში კარბონირების ფარული რევოლუციური ორგანიზაციების სახელწოდება (ესპანეთსა და საფრანგეთში მას შეესაბამება *ვენტა*).
**ვენედები** (ვენეტები, ვენდები) - სლავური ტომების, საფიქრებელია მათი დასავლეთი შტოს უძველესი სახელწოდება.
**ვენედების** სახელმწიფო (ვენედების კავშირი) - პოლაბელი სლავების (ბოდრიჩები, ლუტიჩები და პომორელები) ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც არსებობდა XI-XII საუკუნეებში.
**ვენედიქტოვი** ლევ - უკრაინელი საგუნდო დირიჟორი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი (დაიბადა 1924 წ).
**ვენევი** სტოიან - ბულგარელი მხატვარი (1904-1985 წწ).
**ვენევი** - ქალაქი რუსეთის ტულის ოლქში.
**ვენევიტინოვი** დიმიტრი - რუსი პოეტი (1805-1827 წწ).
**ვენეპუნქცია** (ლათ.) - ვენის პუნქცია; ვენის გაჩხვლეტა ღრუ ნემსით სისხლის გამოსაშვებად.
**ვენერა**[1] (ვენუსი) - აფროდიტეს შესაბამისი ღმერთქალი რომაულ მითოლოგიაში; გადატანითი მნიშვნელობით – ულამაზესი ქალი, ლამაზმანი.
**ვენერა**[2] - მზის სიტემის პლანეტა, მზიდან დაშორებით მეორე და დედამიწასთან უახლოესი ცთომილი. საშუალო მანძილი მზიდან ვენერამდე 108,21 მლნ.კმ.
**ვენერა**[3] - საბჭოთა საპლანეტათაშორისო აპარატი. პირველი ასეთი აპარატი გაშვებულ იქნა 1961 წელს.
**ვენერა** მილოსელი - სიყვარულის ღმერთქალ აფროდიტეს მარმარილოს ქანდაკების საყოველთაოდ გავრცელებული სახელი.
**ვენერი** კარლ - ამერიკელი ფიზიკოსი (1910-1996 წწ).
**ვენერნი** - ტბა სამხრეთ შვედეთში.
**ვენეროლოგი** - ვენეროლოგიის სპეციალისტი.
**ვენეროლოგია** - მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს ვენერულ სნეულებებს.
**ვენერული** (ვენერული დაავადებანი) - ისეთი გადამდები დაავადებები, რომლებიც უპირატესად სქესობრივი გზით გადადის (რომაელთა ქალღმერთ ვენერას სახელის მიხედვით.
**ვენესენი** - ისტორიული ოლქი სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთში, იხილე *კონტა-ვენესენი.*
**ვენესექცია** - ვენის გაკვეთა სისხლის გამოსაშვებად. ძარღვის გახსნა.
**ვენესუელა** (ვენესუელის რესპუბლიკა) - სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში. ფართობი 916,4 ათასი კვ.კმ. მოსახლეობა 24,2 მილიონი. შედგება 21 შტატის და ერთი ფედერალური ტერიტორიისგან. ქვეყნის მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო - ორპალატიანი ეროვნული კონგრესი. ოფიციალური ენა - ესპანური. დედაქალაქი - კარაკასი.
**ვენესუელის** ყურე (მარაკაიბო) - კარიბის ზღვის შემადგენელი მაწილი ვენესუელის სანაპიროსთან.
**ვენეტები და პრასინები** - მთავარი საცირკო პარტიები (დიმები) ბიზანტიის ქალაქებში; ანტიკური რომის მსგავსად ცირკსა და იპოდრომებზე იმართებოდა შეჯიბრებები და საცირკო წარმოდგენები.
**ვენეტო** - იხილე *ვენეცია.*
**ვენეცია** - 1) ქალაქი იტალიაში, ამავე სახელი მქონე ოლქისა და პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი, განლაგებულია 118 კუნძულზე (320 ათასი). 2) (ვენეტო) ოლქი ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, მოიცავს ბელუნოს, ვენეციის, ვერონას, ვიჩენცას, პადუის, როვიგოს და ტრევიზოს პროვინციებს. ფართობი 18,4 ათასი კვ.კმ. მოსახლეობა 4,5 მილიონი.
**ვენეციანოვი** ალექსეი - რუსი ფერმწერი, ე.წ. „ყოფითი სკოლის" ერთ-ერთი ფუძემდებელი (1780-1847 წწ).
**ვენეციის** დაბლობი - *პადანის* ვაკის აღმოსავლეთი ნაწილი იტალიაში.
**ვენეციის** ფესტივალი - საერთაშორისო კინოფესტივალი, იმართება 1932 წლიდან.
**ვენეციის** ყურე - ადრიატიკის ზღვის შემადგენელი ნაწილი, იტალია-იუგოსლავიის სანაპიროზე.
**ვენეციური** სარკმელი - ფართო სარკმელი, თავში მომრგვალებული; შედგება სამი ნაწილისაგან – შუაში ჩვეულებრივ სარკმლისა და აქეთ-იქით თითო ნახევარსარკმლისაგან.
**ვენზელი** (პოლონ.) - ერთმანეთში მხატვრულად გადახლართული ინიციალები (სახელისა და გვარის დასაწყისი ასოები).
**ვენი** ჯონ - ინგლისელი ლოგიკოსი (1834-1923 წწ).
**ვენიავსკი** ჰენრიკ - პოლონელი მევიოლინე და კომპოზიტორი (1835 - 1880 წწ).
**ვენ იდო** - ჩინელი პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი (1899 - 1946 წწ).
**ვენიზელოსი** ელეფთერიოს - საბერძნეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი 1910-15, 1917-20, 1928-32 წლებში (1864 - 1936 წწ).
**ვენინგ მეინესი** ფელიქს - ჰოლანდიელი გეოფიზიკოსი და გრავიმეტრისტი (1887 - 1966 წწ).

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ენციკლოპედია „დედაქალაქები“

*(დასაწყისი №297-ში)*

**საფი** - ქალაქი მაროკოში, ამავე სახელწოდების პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი (200 000 - 1982).

**სებუ** - ქალაქი ფილიპინებში,ამავე სახელწოდების პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი (610 000 - 1990 წ).

**სეგედი** - ქალაქი უნგრეთის სამხრეთ ნაწილში, ჩონგრადის მედიეს ადმინისტრაციული ცენტრი (180 000 - 1992 წ).

**სედლცე** - ქალაქი პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ამავე სახელწოდების სავოევოდოს ადმინისტრაციული ცენტრი (75 000 - 1991 წ).

**სევილია** - ქალაქი ესპანეთში, ამავე სახელწოდების პროვინციის და ანდალუსიის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი (660 000).

**სევტოპოლი** - თრაკიის სამეფოს დედაქალაქი ძვ.წ.აღ. IV-III საუკუნეებში.

**სეკეშფეხერვარი** - ქალაქი უნგრეთში, ფეიერის მედიეს ადმინისტრაციული ცენტრი (110 000 - 1992 წ).

**სემარანგი** - ქალაქი-პორტი ინდონეზიაში, იავას პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი (1 100 000 - 1990 წ).

**სემენდერი** - უძველესი ქალაქი ჩრდილოეთ კავკასიაში, 723 წლამდე ხაზართა სახაყანოს დედაქალაქი.

**სემიპალატინსკი** - ქალაქი ყაზახეთში, ამავე სახელწოდების ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი (345 000 - 1991 წ).

**სენდაი** - ქალაქი-პორტი იაპონიაში, კუნძულ ჰონსიუზე, მიიაგის პრეფექტურის ადმინისტრაციული ცენტრი (940 000 - 1992 წ).

**სენენდეჯი** - ქალაქი ირანის აღმოსალეთ ნაწილში, ქურთისტანის ოსტანის ადმინისტრაციული ცენტრი (170 000 - 1983 წ).

**სენტ-პოლი** - ქალაქი აშშ-ს ჩრდილოეთ ნაწილში, მინესოტას შტატის ადმინისტრაციული ცენტრი (275 000 - 1990 წ).

**სენტ-ეტიენი** - ქალაქი საფრანგეთის ცენტრალურ ნაწილში, ლუარას დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი (200 000 - 1990 წ).

**სენტ-ჯორჯესი** - გრენადის დედაქალაქი და მთავარი პორტი.

**სერაძი** - ქალაქი ცენტრალურ პოლონეთში, ამავე სახელწოდების სავოევოდოს ადმინისტრაციული ცენტრი (45 000 - 1991 წ).

**სერემბანი** - ქალაქი მალაიზიაში, ნეგრი-სემბილანის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი (140 000 - 1980 წ).

**სეტიფი** - ქალაქი ალჟირის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ამავე სახელწოდების ვილაიის ადმინისტრაციული ცენტრი (170 000 - 1988 წ).

**სეტუბალი** - ქალაქი-პორტი პორტუგალიაში, ამავე სახელწოდების რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი (80 000 - 1981 წ).

**სეული** - სამხრეთ კორეის რესპუბლიკის დედაქალაქი. პირველად მოიხსენიება I საუკუნიდან ხანიანის სახელით. 1910-45 წლებში ერქვა კენსონი. ქვეყნის დედაქალაქად გამოცხადდა 1948 წელს. 1988 წლის ზაფხულის XXIV ოლიმპიადის დედაქალაქი (10 320 000 - 1999 წ).

**სიანი** - ქალაქი ჩინეთში, შენსის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი (1 900 000 - 1990 წ).

**სიბიუ** - ქალაქი რუმინეთის ცენტრალურ ნაწილში, ამავე სახელწოდების ჟუდეცის ადმინისტრაციული ცენტრი (170 000 - 1992 წ).

**სიდი-ბელ-აბესი** - ქალაქი ალჟირში, ამავე სახელწოდების ვილაიის ადმინისტრაციული ცენტრი (150 000 - 1983 წ).

**სიდნეი** - ქალაქი ავსტრალიაში, ახალი სამხრეთ უელსის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი, XXVII ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი 2002 წელს (3 500 000 - 1991 წ).

**სივასი** - ქალაქი თურქეთში, ამავე სახელწოდების ვილაიეთის ადმინისტრაციული ცენტრი (220 000 - 1990 წ).

**სიქტივკარი** (1930 წლამდე უსტ-სისოლკი) - რუსეთის კომის რესპუბლიკის დედაქალაქი (230 000 - 1999 წ).

**სიმლა** - ქალაქი ინდოეთის ჩრდილოეთ ნაწილში, ჰიმაჩალ-პრადეშის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი (110 000 - 1991 წ).

**სიმფეროპოლი** - ქალაქი უკრაინაში, ყირიმის რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი; ძვ.წ.აღ. III - ახ.წ.აღ. III საუკუნეებში სკვითების სახელმწიფოს დედაქალაქი (350 000 - 1991 წ).

**სინგაპური** - სახელმწიფო სინგაპურის დედაქალაქი (1 800 000 - 1988 წ).

**სინიიჯუ** - ქალაქი ჩრდილოეთ კორეაში, ფხენან-პუქტოს პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი (290 000 - 1987 წ).

**სინინი** - ქალაქი ჩინეთში, ცინხაის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი (550 000 - 1990 წ).

**სიტუე** - ქალაქი მიანმაში, რაქხაინის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი (110 000 - 1990 წ).

**სიძუოკა** - ქალაქი იაპონიაში, კუნძულ ჰონსიუზე, ამავე სახელწოდების პრეფექტურის ადმინისტრაციული ცენტრი (475 000 - 1992 წ).

**სკერნევიცე** - ქალაქი პოლონეთის ცენტრალურ ნაწილში, ამავე სახელწოდების სავოევოდოს ადმინისტრაციული ცენტრი (45 000 - 1990 წ).

**სკოპიე** (სკოპლე) - მაკედონიის დედაქალაქი; როგორც ქალაქი, ცნობილია VII საუკუნიდან; 1946 წლიდან მაკედონიის დედაქალაქია იუგოსლავიის შემადგენლობაში და შემდეგ დამოუკიდებლად (565 000 - 1991 წ).

**სლუპსკი** - ქალაქი პოლონეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ამავე სახელწოდების სავოევოდოს ადმინისტრაციული ცენტრი (100 000 - 1991 წ).

**სმოლენსკი** - ქალაქი რუსეთში, ამავე სახელწოდების ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი (350 000 - 1999 წ).

**სომბათხეი** - ქალაქი უნგრეთში, ვაშის მედიეს ადმინისტრაციული ცენტრი (90 000 - 1989 წ).

**სოფია** - ბულგარეთის დედაქალაქი. დაარსებულია I საუკუნეში „სერდიკას“ სახელწოდებით, როგორც რომაელთა სამხედრო ბანაკი. 809 წლიდან „სრედეცის“ სახელწოდებით პირველი ბულგარული სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. „სოფია“ ეწოდა XIV საუკუნიდან 1879 წლიდან დამოუკიდებელი ბულგარეთის დედაქალაქია (1 100 000 - 1991 წ).

**სოხუმი** - ქალაქი (1848 წლიდან) საქართველოში, აფხაზეთის ავტონომიის დედაქალაქი (120 000 - 1991 წ).

**სპარტა** - ქალაქი საბერძნეთში, პელოპონესის ნახევარკუნძულზე, ლაკონიას ნომის ადმინისტრაციული ცენტრი (15 000 - 1981 წ).

**სპრინგფილდი** - ქალაქი აშშ-ს ჩრდილოეთ ნაწილში, ილინოისის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი (105 000 - 1991 წ).

**სრინაგარი** - ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში, ჯამი და ქაშმირის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი (590 000 - 1991 წ).

**სტავანგერი** - ქალაქი ნორვეგიაში, რუგალანის ფიულკეს ადმინისტრაციული ცენტრი (150 000 - 1991 წ).

**სტავროპოლი** - ქალაქი რუსეთში, სტავროპოლის მხარის ადმინისტრაციული ცენტრი (335 000 - 1999 წ).

**სტამბოლი** - ქალაქი თურქეთში. დაარსებულია ძვ.წ.აღ. 60 წელს „ბიზანტიონის“ სახელით. 330 წელს ეწოდა კონსტანტინეპოლი. 395-1453 წლებში იყო ბიზანტიის, 1923 წლამდე კი ოსმანთა იმპერიის დედაქალაქი (6 600 000 - 1990 წ).

**სტაფორდი** - ქალაქი ცენტრალურ ინგლისში, სტაფორდშირის საგრაფოს ადმინისტრაციული ცენტრი (60 000 - 1991 წ).

**სტერლიტამაკი** - ქალაქი რუსეთის ბაშკირეთის რესპუბლიკაში. 1919-22 წლებში ბაშკირეთის დედაქალაქი (265 000 - 1999 წ).

**სტეფანაკერტი** - ქალაქი აზერბაიჯანში, მთიანი ყარაბახის ადმინისტრაციული ცენტრი (55 000 - 1991 წ).

**სტოკჰოლმი** - შვედეთის დედაქალაქი. დაარსებულია 1252 წელს როგორც შვედეთის მეფეთა რეზიდენცია. დედაქალაქის სტატუსი მიიღო 1634 წლიდან (685 000 - 1993 წ).

**სტრასბური** - ქალაქი საფრანგეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ქვემო რეინის დეპარტამენტის და ისტორიულ ოლქ ელზასის ადმინისტრაციული ცენტრი (250 000 - 1991 წ).

**სუვა** - სახელმწიფო ფიჯის დედაქალაქი. წყნარი ოკეანის პორტი (70 000 - 1989 წ).

**სუვალკი** - ქალაქი პოლონეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ამავე სახელწოდების სავოევოდოს ადმინისტრაციული ცენტრი (70 000 - 1991 წ).

**სუვონი** - ქალაქი სამხრეთ კორეაში, კენგიდოს პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი (650 000 - 1990 წ).

**სუკრე** - ბოლივიის ოფიციალური დედაქალაქი, ჩუკისაკას დეპარტამენტის ადმინისტრაციული ცენტრი. დაარსებულია 1538 წელს ესპანელთა მიერ (130 000 - 1992 წ).

**სულეიმანია** - ქალაქი ერაყის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ამავე სახელწოდების მუჰაფაზის ადმინისტრაციული ცენტრი (280 000 - 1985 წ).

**სუმი** - ქალაქი უკრაინაში, ამავე სახელწოდების ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი (305 000 - 1991 წ).

**სუონსი** - ქალაქი დიდ ბრიტანეთში, უელსში, უესტ-გლამორანგის საგრაფოს ადმინისტრაციული ცენტრი (190 000 - 1991 წ).

**სუსი** - ქალაქი ტუნისში, ამავე სახელწოდების ვილაიეთის ადმინისტრაციული ცენტრი (100 000 - 1989 წ).

**სუჩავა** - ქალაქი რუმინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ამავე სახელწოდების ჟუდეცის ადმინისტრაციული ცენტრი (110 000 - 1990 წ).




სექტემბრის დასაწყისშივე შემოგთავაზებთ ჩვენს ახალ გამოცემას, რომელსაც „სიბრძნის კაკოფონია“ ვუწოდეთ; მასში თავმოყრილია უმეტესი ნაწილი იმ აფორიზმებისა, რაც წლების განმავლობაში იბეჭდებოდა „ფანტაზიაში“; რედაქტირების შემდეგ წიგნში 700 ავტორის 2000-ზე მეტი გამონათქვამი დარჩა. წიგნს ერთვის ავტორთა საძიებელი და სულ 144 გვერდისაგან შედგება... ეს არის პირველი კრებული.

(...გასული თვე იმდენად „აფორისტული“ აღმოჩნდა ჩვენთვის, რომ მცირე ხანს ამგვარი ქმნილებებისაკენ გახედვა აღარ გვინდა, ამიტომაც არ ვბეჭდავთ დღევანდელ ნომერში არაფერ მსგავსს)

# „არა მხოლოდ (კროსვორდისთვის) გამომგზავნა...“

გთავაზობთ ომარ ხაიამის რობაიების სრულიად ახალ თარგმანებს, რომლებიც გასული თვის განმავლობაში შესრულდა და ჯერ არავის წაუკითხავს; მალე კი პოეზიის მოყვარულთათვის ამ რობაიების ოთხენოვან (სპარსული, ინგლისური, რუსული, ქართული) კრებულსაც გამოვცემთ, რომლის ანალოგი ჯერ არსად არავის გამოუცია

(დასაწყისი იხილე სამშაბათის „ფანტაზიაში“, 3.08.2004.)

* * *

გულო, გერჩივნოს საფიქრალის განზე დაგდება,
ამაო ყოფნის აღსასრული სანამ დადგება.
რადგან წამსვლელი წავიდა და მომსვლელი არ ჩანს,
ყოფნა-არყოფნის ფიქრი შენ არ გამოგადგება.

* * *

გულო, ლხინისთვის ყველა კარი, რომ მაქვს ღია მე,
აი, ეს არის სიკეთე და აი, სიამე!
მაშ, შენც ცვარივით ჩამოჯექი ღამით მდელოზე,
რომ მომახარო დილაა თუ აისია მე.

* * *

ღვინოში არის სიცოცხლე და შენ ის დალიე,
რადგან ის ლამაზ სიჭაბუკეს ჰშვენის, დალიე;
თუკი რამ დარდი გექცა ცეცხლად, ღვინოს ანდე და
იქ უკვდავების წყაროს წყალს რომ შექმნის, დალიე.

* * *

ღვინოს თუ დალევ, ჭკვიან კაცთან უნდა დალიო
და ეს ცხოვრება ლამაზებში უნდა გალიო;
ოღონდ თუ დალევ, ჩუმად სვი და ფრთხილად იყავი,
დღევანდელი დღე რომ სიკეთით გახვალიო.

* * *

ცისკარს რომ უმზერ, გაიხარე, ძმაო, დღეს ამით,
ღვინო დალიე, არ მოიკლა გული დღეს ავით;
ამ ერთ დილასაც გამოსტაცე სიამე, რადგან
რაგინდ ეძებო, ხვალ ვერ ნახავ წარსულ დღესავით.

* * *

ბრძენო მოხუცო, ჩააქსოვე რისხვა რამ ხმაში
და იმ ბიჭს უთხარ, მიწასთან რომ უყვარს თამაში,
ეს მხოლოდ მიწა არ ეგონოს... რომ ურევია
მეფე ყობადის და ფარვიზის მტვერი ამაში.

* * *

ამ ფიალაში წუთისოფლის მადლი დაუნჯდა,
ვინც მას აკოცა, გაირინდა, თითქოს დამუნჯდა;
ეს მექოთნე კი მასში მხოლოდ თიხას ხედავს და
გატეხავს კიდეც, ჭკვაში რამე თუ არ დაუჯდა.

* * *

თიხის მზელავთა გზას დავადექ ფიქრით სავსე და
ორი ათასი დოქი ვნახე, გზას რომ გასდევდა;
უცებ მე ერთმა დოქმა მითხრა: „აქ ვისაც ხედავ,
ზოგი დოქს ზელდა, ზოგი ყიდდა, ზოგიც ავსებდა“.

* * *

შავ მიწასა და ზუალს შორის სივრცე თუ არი,
თუ სიმართლეა, რასაც ვხედავთ ან თუ ცრუ არი,
ყველაფრის კარი შევაღე და შევეხმიანე...
მხოლოდ სიკვდილის კართან დამხვდა ცივი უარი.

* * *

ჩვენ ვართ სიამის სათავე და დარდის წყარონი,
ქვეყანას ვფლობთ და დავწანწალებთ უსახლკარონი,
სიმდაბლესა და სიდიადეს, ავსა და კეთილს,
როგორც სარკეში, ჩვენში სჭვრეტენ ეს სამყარონი.

* * *

სახლში რომ არ მაქვს ღვინის მსგავსი ახლომახლო რამ,
არვის ეგონოს — უკადრისი ჩავისახლო რამ.
დღეს შენ ჩემს გულში სიყვარულით შემოხვედი და
არ მინდა ჩემს გულს სხვა სიამით ხელი ვახლო რამ.

* * *

ვისაც აქვს ოქრო და „მდიდარი“ — ეთქმის — მე ვარო,
ვინც რამეს შექმნის და ქვეყანას შეყრის — მე ვარო!
ვინც სიდიადის კოშკს აიგებს... მას ერთხელ კარზე
მიუკაკუნებს სიკვდილი და ეტყვის — მე ვარო.

* * *

ჩვენ ბავშვობაში საოსტატოდ ძალას ვიკრებდით,
დაგვიდგა დრო და ოსტატობით თავსაც ვიქებდით;
ისიც გაიგე, საბოლოოდ რა ბედს ვეწევით:
ჩვენ თურმე მიწა ვიყავით მიწა ვიქნებით.

* * *

გუშინდელი დღე ჩაიწრიტა სამყაროს ღარში,
ხვალინდელი კი არც მთაში ჩანს, არც სადმე ბარში;
მაშ, ნუღარ ფიქრობ არმოსულ და წასულ დღეებზე,
იმხიარულე და ნუ ფლანგავ სიცოცხლეს ქარში.

* * *

შენ, ჩემო თვალო, ჩემს საფიქრალს ვერ ეშველები,
რაგინდ მაჩვენო წუთისოფლის მთა და ველები;
მე ვხედავ მეფეს, თან რომ ახლავს კარის მცველები,
ვისაც მიწაში შესევიან ჭიანჭველები.

* * *

გიჯობს სვავივით ნასუფრალზე ეძებო ძვალი,
ვიდრე სუფრასთან არაკაცის გიმზერდეს თვალი;
სჯობს ამ ნებიერ ნაძირალებს გაეცალო და
ალალი ლუკმის მაძიებლის დატოვო კვალი.

* * *

ცის თაღს რომ იჭერს, ოდითგანვე ერთი ხარია,
მეორე ხარის სამფლობელი მიწის კარია;
გონზე მოდი და თავად ნახავ შენ ამ სიმართლეს —
ამ ორ ხარს ო, რამდენი სახედარია.

* * *

ვინც ღვინის სმას და ლამაზმანთან მოლხენას ძრახავს,
ღვთიურ განგებას უგნურებით თავადვე ლახავს:
თუ ლოთს და მიჯნურს ჯოჯოხეთი თავის წილ სახავს,
მაშინ სამოთხეს მიწიერი ვერავინ ნახავს.

* * *

მოსვლა-წასვლაში სარგებელი იმის მსგავსად ჩანს,
უიმედობით დაცლილი რომ სავსის გარსად ჩანს;
ამქვეყნის ბევრი ბინადარი მიწად რომ იქცა,
უცეცხლო ალით იწვება და კვამლი არსად ჩანს.

* * *

რა იქნებოდა, ის იმედი მეც რომ მენახა,
რომ ბედს თავადვე განვაგებ და სვეც რომ მენახა;
თუ საპყრობილედ მექცა ყოფნა, არყოფნამ მაინც
მამყოფოს ისე, ბნელთან ერთად დღეც რომ მენახა.

* * *

მწდეო, ცოდვა თუ მადლში მაინც უნდა გავრიოთ
და ყოფნა ერთით ან ათასი დარდით გავლიოთ,
სჯობს მოვილხინოთ, სანამ მიწად გვაქცევს განგება
და სანამ ყველა ქარს გავყებით, ღვინო დავლიოთ!

* * *

შენ გუშინ სევდის საპყრობილე ისე აგიგეს,
შენი არც თხოვნა ისმინეს და არც რამ გაგიგეს;
გამხიარულდი! — მე სხვა ნუგეშს ვერაფერს გეტყვი,
შენ ხვალინდელი ხაფანგი ხომ გუშინ დაგიგეს.

* * *

ეს კოშკი ახლა თითქოს ზეცის კიბეს რომ აჰყვა,
შაჰს ეკუთვნოდა და მის ყველა ნებასაც დაჰყვა;
დღეს კი მის კედლებს შემზარავად დასჩხავის ყვავი:
ვინც ნებას დაჰყვა და გადაჰყვა, სიკვდილსაც გაჰყვა.

* * *

რადგან ამქვეყნად გზაც კი არ მაქვს სადმე ნანახი
მარადისობის კარიბჭეთა გადასალახი;
ასი ათას წელს შავ მიწაში გავატარებ და
მაინც ამოვალ მიწის ზემოთ, როგორც ბალახი.

## გასული ნომრის პასუხები

### პირველი გვერდი



### მეცხრე გვერდი



### მეათე გვერდი



### მეთერთმეტე გვერდი



### მეთორმეტე გვერდი



### მეცამეტე გვერდი



### მეხუთე გვერდი



### მეორე გვერდი



### მეოცე გვერდი






### მეთოთხმეტე გვერდი



### მერვე გვერდი





გამომცემელი და რედაქტორი
ალექსანდრე ელერდაშვილი - (877)45-19-80

# მომავალ შეხვედრამდე!

უხამსი
პროსტიტუცია
ყაზბეგის მოთხრობა
„...... დიკი“
ბევრი წელი
ჩვენი ცეკვა
ხე
მთიელთა სოფ.
სასიმინდე
სპარსული ლექსი
დაცინვა
ინდოეთის ქალაქ,
(......) ჯაყელი
ბექჰემის ცოლი
ჩვენი მწვერვალი
ქემელი

მუს. პიესა
იაპონ. რეჟისორი
უსინათლო
ევროპ. მითოლ. ნიმფა
მუს. ფორმა
უბრალო
პეპის მეგობარი
აფხაზეთშია
ქორბუდა
წინხედი
ფრანგ. ფეხბ. გუნდი

წვეთი
ყალბი
შარაგზა
ქვეშაგები
ამერიკელი

ქიმ. ელემენტი
რომაული სამოსი
გალივ. ებული ხორბ.
შოკოლადი
....და პეტროვი
შლამის თევზი
დიდი ყვავილი
კავალერისტი
გადახოტრილი
აღმოსავლეელი
ბორჯომშია

ტრიგონომეტრიული ფუნქცია
ცრუმოძრაობა
რუსი მხატვარი
ზამთრის სამოსი
ზარბაზანი
ბასკეთის ნაწილი
ცისკრის ფრინველი
ხატის მსახური
ესპან. ავიაკომპანია
ონისეს როლშია
ჩვენი დიდი მეზობელი
სალებავია ასეთი
ინგლ. ტოპმოდელი
ამაზონის დელფინი
ბოევიკი, ჩაკ...
ქალაქი ბოლივიაში
გერმ. (......) ბანკი
ბულგარული ლუდი
თაღი
ფშატისმაგვარი
ვისის მიჯნური
იმპორტის აკრძალვა
ფრანგი დრამატურგი
ყველაზე ღრმა ტბა
ახირებული ჩვევა
ძვ.იტალ. ფეხბურთელი
ამონაწერი
ფორმის სამოსის ნაწილი
ქალის გრძელი შარფი
ჩვენი კინორეჟისორი
ჟაკ შირაკამდე
საიათნოვა იყო
ოპერის ნაწილი
...და მახვილი
რუს.ესტრადის მომღ.
ნელი სიარული
ესპან. მომღერ. ქალი
იოსები
ძრავის ნაწილი
რიცხვითი სახელი
საცხოვრებელი
აზარტი
სამუშაო ფართი

შემდეგი ნომერი გამოვა 20.08